

კულტურა 1 აմბ

ქვედა, 17 ივნისი, 1916 წ. რედაქციის ადრესი:  
თბილისი, ოლღას ქუჩა, № 6. ფასი 15 გან.

# კულტურა 1 ამბ აზოვობაზე 29

იუმორისტ.  
უურნალი

29

ომი და ლხინი კახისა, მოსაწონია კაცისა



თავადი ხიკა. ახირებულია, ღმერთმანი, რატო გადადის ე ჩვენი მამულები  
უცხოთა ხელში?

თავადი ხიკა. მეც ემაგას არა გჩივი! განა ჩვენსე უკეთ იციან იშათ ღვინის  
ფასი?

თურდისი, 17 ივნისი, 1916 წ.

დედაქაცის როლი  
გაფრინდა-მლეჭვი-  
ლობაში

აბობოქრებულმა თანამედრო-  
ვე მსოფლიო საზღაპრო იმმა-  
ბევრი თავსატეხი და თავსატევ-  
ჩევი კითხვა წამოაყენა.

უმთავრესი მათ შორის უეჭველით არის დედა-  
კაცის როლი თანამედროვე ვაჭრობა-მლეჭველობაში.  
ეს ისეთი დარგია ჩვენი ცხოვრებისა, რომელიც  
მეტ ყურადღებას და ფხიზელ თანაგრძნობას ით-  
ხოვს. არავისოვის სიღვამლი აღარ არის, რომ ჩვე-  
ნი სამრეჭველო ცენტრები მუშა ხელისაგან დაიცა-  
ლა. აბობოქრებულმა თანამედროვე მსოფლიო იმმა-  
პირდაპირ ზღაპრული სახე მიიღო და მრავალი  
მსხვერპლიც შეიწირა.


ამ გარემოებამ გამოიწვია საზღაპრო კრიზისები  
ამა-თუ იმ დარგებში და კერძოთ ვაჭრობა-მლეჭვე  
ლობაში. ზოგიერთ საქონელს ფასიც კი მოემატა,  
ხოლო დღეს, როცა საერთაშორისო ომისგან ხალ-  
ხი ისედაც ზღაპრულ გასაჭირს უძლებს, საქონლის  
გაძვირება, თუნდაც ნახვარი პროცენტით ხალხი-  
სათვის მძიმე ასატანია. აუკილებლით საჭირო იყო  
ამ ტუპიკიდან გამოსვლა ამა თუ იმ ღონის ძების  
საშვალებით. ბევრი კომიტეტები დაარსდა, მაგრამ  
ამაოდ. ბოლოს ისევ მთავრობამ ააჩთვა აღლო  
გართულებულ ცხოვრების მსვლელობას და მოს-  
ძებნა გამოსასვლელი გზა. ეს გზა არის სწორეთი ის,  
რომელზედაც არა ერთხელ მიუთითებია ჩვენთვის  
ისტორიას და რომლის შესახებაც ორი აზრის ტა-  
რება არ შეიძლება. ეს გზა არის დედა-კაცთა ჩაბმა  
ვაჭრობა-მლეჭველობის დაგრებში.

ქალთა უფლებისათვის ბრძოლას ვრცელი ის-  
ტორია აქვს. დიდი ხანია ჩვენი დები და ცოლები  
ცდილობდენ მამაკაცთა უფლებასთან გაონანაწო-  
რებას, მაგრამ ამაოდა. მხოლოთ დღევანდელმა საზ-  
ღაპრო იმმა მიიყვანა ისინი თავის მიზნის განხორ-  
ცილებამდე.

სასიამოენოა, რომ სწორეთ მთავრობამ ითავა  
ეგ საქმე. იგი არა თუ სდევნის, პარიქით კიდევაც  
აქეზებს მათ მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ  
დარგში  
თვით აღმინისტრაციას, რომელიც სულ ახლო წარსულში  
წინ ეღლობოდა დედა-კაცთა ამგვარ მიდრეკილებას,  
დღეს ნაბრძანები აქვს ყოველ მხრივ წააქეზოს და

ხელი შეუწყოს დედა-კაცთა ვაჭრობა-მლეჭველობის  
დარგში მოღვაწეობას.

მკითხველმა უკვე იცის, თუ რა დიდი ნაყოფი  
გამოიღო ამ ცდამ ჩვენს ქალაქში და ამიტომ გულ-  
დამშვიდებით შეგვიძლია ვუტადოთ უკეთეს მომა-  
ვალს.



## ქ-ნი ჯვალუ

მტრნარი სიცრუეა, თოთქო ჩემი სიმპატია უფ-  
რო დაბალისა და მსუქან მანდილოსანთა მხარეზე  
იყოს. ერთი მათგანი გრძნდა რომეც შეაღგენდეს ჩე-  
მი ტრფიალების საგანს, ეგ სრულიადაც არ ნიშ-  
ნავს, თოთქო ყველას აღტაცებაში მოვავდე.

ქ-ნი ჯვალუ, დარწმუსებული ვარ პირველ შე-  
ხვედრისათანავე ყველა თქვენგანს მოხიბლავდა, თუ  
კი ბედს თქვენთვის მისი ნაცნობობა მოენიჭება. ქ-ნი  
ჯვალუ არც ახალგაზრდაა, მით უმეტეს ასუ-  
ლამზი, მაგრამ საკმარისია მასთან ათიოდ წუთ  
დარჩეთ, მისი რამოდენიმე რუსულ-ქართული წინა-  
დადება მოისმინოთ, რომ სამუდამოთ მიიჯაჭვოს  
თქვენი გული და გრძნობა მასზე. დიახ, მე დარ-  
წმუნებული ვარ, არ მოიპოება დედამიწის ზურგზე  
არცერთი სხვა მანდილოსანი, არც მსუქანი და და-  
ბალი, როგორიც ქ-ნი ჯვალუა, არც მაღალი და  
ხმელი, როგორიც იგი წინეთ ყოფილა, რომელსაც  
ყველასაგან ცნობილ უბრალო ჟეშარიტებათ ასეთ  
ფილოსოფიურ ფორმებში ჩამოსხმა შეეძლოს.

მაგრამ ქ-ნ ჯვალუს მე მარტო ფილოსოფიური  
მუსაიფისათვის დიახაც არ ვაღმერთებ. ჩემი დაუ-  
სრულებელი სიყვარული მან მხოლოდ თავისი გულ-  
კეთილობით დაიმსახურა. ოჯ, ნეტავი თქვენ განა-  
ხათ ქ-ნი ჯვალუ, როცა იგი დაბალია და მრგვალ  
„სმოვარს“ გვერდით უზის! მისი მსუქანი და მრგვა-  
ლი სახე თოთქმის კიდეთ-კიდემდე დანამულია ოფ-  
ლის გამჭვირვალე მარგალიტებით! ზოგჯერ, როცა  
ქ-ნ ჯვალუს არივე ხელი „დაზუნიატებული“ აქვს;  
ერთი რომელიმე ბრძოლის წვეთი მეორეს უერთდე-

ბა, მეორე მესამეს, ისინი უერთებულის ძალით სხვებს გაიტაცებენ ხოლმე და ოორნესავით მოელვარე სახეზე პატარა ნაკალული იბადება: იგი სწოად იკავალავს გზას სახის ერთ-ერთ ნაოჭის სიღრმეში, გამალებით ჩამოდის ღაწვის ამა თუ იმ მხარეზე და თან ჩამოაქვს აურაცხელი კირი და სალებავი.

— ჩაი ზაფხულში ხოლმე მეტ თველს იძლევა! მოსწრებულათ შენიშვნავს ქ-ნი ჯვალუ, როცა თველის ნიაღრისაგან გატანილ კვალს ცხვირსახოცით შეიშრობს და შეისწორებს.

მოდი და ნუ დაეთანხმები!

ჯერ კიდევ ზევრია იმისი მოწამე, რომ ქ-ნი ჯვალუ, ვიდრე მას ბ-ნი ბეჭო შეირთავდა, წერწეტი და მაღალი ქალწული იყო. ცხადია ოჯახის დარღმა და დაუღალოვა შრომამ იქნნა შემდეგში ასეთი გავლენა მისი გარეგნული მოხაზულობის ცვლილებაზე. მე ეჭვი მარტო მის ადრინდელ სიმაღლეში შემდის და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ამის შესახებ თვით ქ-ნ ჯვალუსაგან არათერი გამიგონია.

ქ-ნ ჯვალუს ჭირიეთ ეჯავრება ბავშვები და აი, სწორეთ ამიტომ, შვილები არა ჰყავს.

— ღმენ გამოგალვიძებს რებონკა, დღე არ დაგაძინებს, ღმერთმა დამიტაროს ასეთი ხათაბალისაგან!

იტყვის ხოლმე ჩემი ღვთაება, როცა ლაპარაკი ბავშვებზე ჩამოვარდება. ერთი სიტყვით ცველაფერზე ისე მოგიჭრის სიტყვას ქ-ნ ჯვალუს რენის ლოდიკა, რომ ადამიანს პირში ენა გაგიქვავდება. მიუხედავათ ასეთი კატეგორიული გადაწყვეტილებისა ქ-ნ ჯვალუს მაინც მოსიყვარულე და კეთილი გული აქვს. იგი არც დედობრივ გრძნობას არის მოკლებული. მე ამას საალალბერით დიახაც არ ვლაპარაკობ.

აი, სწორეთ ამ მიზნით იშვილა მან ერთი ლეკვი და საში კატა. არა თუ მარტო ქ-ნ ჯვალუს, მთელი მისი ოჯახის ყურადღება ამ ოთხი უმანკო ცხოველის გარშემო ტრიალებს. ისინი არიან როგორც ქ-ნ ჯვალუს, ისე ბ-ნ ბეჭოს მზრუნველობის საგანი. პატარა „გოგო“, რომლის ნამდგომი სახელი ამ მშვიდისა და წყნარ ოჯახში არავინ არ იცის, ვინაიდან ხმარებაში არასოდეს არა ყოფილა, უმთავრესად ამ ოთხი პატარა არსების საკეთოლდღეოდ შრომბს და იღწვის.

რამდენათ დიდია ქ-ნ ჯვალუს გულკეთილობა და დედობრივი გრძნობა, ეს იქიდანაც სხანს, რომ

საკმარისია „მოფსიკას“ ერთი უჩვეულო ყეფა, ან „უიუნიას“ საეჭვო კნავილი აღმოხდეს, რომ ქალბატონის კეთილი გული მძლავრათ ატოკდეს. ეს „ტოკვა“ მხოლოდ პატარა „გოგოს“ არ უყვარს, ვინაიდან ხშირათ ააშკარავებს მის დაუდევრობას და ცხოველთადმი უპატივცემულობას. ხშირათ, ძლიერ ხშირათ საკუთარის ცხვირიდან სისხლის დენით გამოუსყიდია მას თავის დანაშაული ცხოველთა წინაშე, მაგრამ მის დაუდევრობას ბოლო მაინც არ ედება.

— უკმელათ ძალიც კი მოკვედება, გოგო, შე სასიკვდილევ. დღეს საჯერ მეტათ არ გიშევევა, უნ კი შეგქამა ჭირმა. შეხედე როგორ მიუკერის ჩემი საყვარელი, ჩემი „მოფსიკა“, ჩემი იმედი. ეხლავ დაუდგა ის ორი კატლეტი მიწაზე, შე დასამიწებელო, უნა. კარგათ დაუფხვენი, დალეჭა არ გაუჭირდეს, მაგრამ ხორცი იყო, უნი ხორცი კი უნ ჭიმა ძალებმა!

სახაბა-სხუპით დაიყრის ხოლმე გულ-ეთილი ქალბატონი, გულქვასა და შეუბრალებელ „გოგოს“.

პატარა „გოგოც“, რასაკვირველია, უსიტყვოთ ასრულებს ცველაფერს. მაგრამ ვაი ამ პირუტყვი ბატონების ბრალი, როცა მათი დედა, ქ-ნი ჯვალუ, სადმე წავა და მათ ობლათ დაჰყრის. მთელი კვირეობით შემონახულ მტრობასა და ჯვარს სწორეთ მშინ იყრის ხოლმე შეუგნებელი გლეხის „გოგო“, უპატრონოსა და უმწეო იმბლებე. სახლში დაბრუნებისას ქ-ნი ჯვალუ ცველაზე უწინ თავის „შეილებს“ მოიკითხავს ხოლმე, იმათი ალერსით დასტებება, მათ სურვილს დაკმაყოფილებს და შემდეგ იკითხავს ძვირფასი ბეჭოს ამბავს. გულის ამაჩუებელი სანახავია, როცა ხელში აყვანილი „მოფსიკა“ თავისი „ვარდისფერ“ ენით აულოებას ხოლმე თვლით დანახულ სახეს ქ-ნ ჯვალუს! ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ ერთი ბავშვც არ მინახავს, ასეთი სიყვარულით ეალერსებოდეს თავის დედას, არა თუ დედინაცვალს.

და „მოფსიკამ“ ჩინებულათ იცის, რომ ქ-ნი ჯვალუ იმისი მცვიდრი დედა არ არის. იცის ეგ ინსტიქტიურათ. როცა მახლობლათ სხვა „უხეირო“ ძალით გაირბენს, „მოფსიკა“ მყისვე დაუსხლტება ხოლმე ხელიდან ქ-ნ ჯვალუს, მატოვებს მის მოსიყვარულე გულს და იმ უჯიშმო ძაღლისაკენ მირბის. ოჯ, ძაღლებო, ძაღლებო! საშინლათ იტანჯება ასეთ შემთხვევებში დედობრივი მგრძნობიარეობა ქ-ნი

ჯვალუსი; არც ამაგი, არც სიყვარული, არც ალერ-სი! ცეკლაფერი დაწინუებას ეძლევა და შერე ვასზე, უბრალო ძალზე, უშნო, უჯიშო ძალზე უცვლე-ბა! მართლაც ბუნებით ქველმოქმედი უნდა იყოს აღმიანი, რომ ასეოთა უმაღლურობამ გული არ შეუ-ქანოს.

მეთერთმეტე წელიწადია, რაც ქ-ნმა ჯვალუმ თავისი საწილი მოაშორა ბ-ნ ბეჭოსას და ოთხის გარცენა კედელს მიადგა, ფეხის მახლობლათ. სა-ბაბათ ამ განშორებას ერთ ღამინდელი წიხლებით ჩხუბი დაედო, მაგრამ ცხადია, იქნებოდა სხვა მიზე-ზებიც. ახლა ქ-ნ ჯვალუს მშვიდობიანათ სძინავს თა-ვის ძვირფას აღზრდილთა შორის. ჩევლებრივათ მოუსვენარ „მოფსიქას“ ბინა ტახტის ბოლოზე, ქ-ნ ჯვალუს ფეხებთან აქვს მიჩნილი. „ციცუნია თვალ-კრელა“ ბალიშის ერთ მხარეზე ხერინავს; „ციცუ-ნია სპეტაკი“ ბალიშის მეორე მხარეზე, ხოლო „ცი-ცუნია თვალისჩინი“ ქ-ნ ჯვალუს მეტობები დაეხვევა, ცვირს კუდით დაიფარავს და ქ-ნ ჯვალუს ზომიერ სუ-ლისთქმაზე არხენიათ ქანაობს ზევით და ქვევით.

განსაციფრებელი ამ ტებილ ცხოვერებაში ისაა, რომ პატარაები არასოდეს ბოროტათ არ სარგებ-ლობენ ქ-ნ ჯვალუს სტუმართ-მოყვარეობით და არა-ვითარი უსინდისო მოქმედებით მის საწოლს შეუ-რაცყოფას არ აყნებენ. განა იგივე ითქმის ჩვილ ბავშვებზე? ეს ერთი უბარევლეს საბუთთაგანია ქ-ნ ჯვალუს მხარეზე, როცა მუსაიფი შეილიანებსა და უშეილოებზე ჩამოვარდება ხოლმე.

— უი, ბავშვები?! გასწყდეს იმათი სინსილა, ღამეში ათასჯერ დაგასველებენ, სხვას რომ თავი დავანებოთ.

მოდი და ებრძოლე ასეთ საბუთებს.

სასადილო სამარადისს ქ-ნი ჯვალუ ყოველთვის თავისი „შეილების“ სურვილს უფარდებს ხოლმე, მაგრამ არც პატარა „გოგოს“ ივიწყებს მისი მო-სიყვარულე გული. რამდენჯერ ჩემი თვალით მინა-ხას: როცა „მოფსიქას“ და „ციცუნიებს“ ღილით რე გადარჩებოდა, ქ-ნი ჯვალუ პატარა „გოგოს“ ნებას აძლევდა, ნარჩენი რე თავისს ჩაიში ჩაეხა.

ამ ამისთვის მიყვარს მე ქ-ნი ჯვალუ და არა მიტოშ, რომ ის სქელი, დაბალი და შსუქანია:

ეშმაკი.

## სსქართველოს გურჯინი

(ზარუი ერთ მოქმედებათ, სტუდენტებთა ცხოვრებიდან).

მომზადე პირი:

გორქა,	ვალიკო,	ვალენტონ,
კაცი,	ვანო,	საშა.
გიგო,	მილი,	(სტუდენტე-ლადო,
	გრიშა,	ბია)

მოქმედება სწარმულებს რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში. გაზა-ფენია. სცენა წარმოადგენს მოზრდილ თათხს, რომე-ლსაც ერთი კარი აქვს, თორი ფეხიანა. თორი გაღებუ-ლია. თოთხში ერთი კამადია, ერთი მაგიდა, თოხი სკამი, თორი ტახტი და ერთიც ქველი სავარტედა. ნაშეადეგვა.

მაგიდასთან სხელან გრიშა, გიგო და გალენტო.

გამოსხლა პირველი.

გრიშა. აბა, ძმებო, ერთგულად, ხეალ გამო-ცდა გვაქ, ერთი წაკითხვა მაინც მოვასწროთ!..

გალენტო. აბა, აბა! ერთი ხვალაც და მერე გა-სცი და გამოუსცი.

გიგო. დავიწყოთ (გალენტო კითხულობს სხვე-ბი არ აცლიან)

გრიშა. გაუშვი.. გადააგდე! სხვაში რაში, რომ მაგაში მოვემზადოთ. მოუმზადებლათაც გავალთ!

გალიშა. გავალთ და ეგრე!.. ცოტა რამ მაინც რომ გვცილოდა...

გიგო. ცოდნა თუ გინდა, ჩემო ძმაო, „კონ-სპეცტი“ ვერ გოშველის.

გრიშა. ჩვენ რაღა ვართ, ქვეყანა „კონსპე-ცტებით“ გადის. გაუშვი ერთი!

გიგო. მართლაც სასაცილოა ჩვენი ეგზამენი. სულ „კონსპეცტი“ უპასუხებენ და როგორი „კონ-სპეცტი“ მერე,—კითხვებია შიგ მეტი არაფერი.

გრიშა. ეგ უკეთესია.

ვალენტო. ნაკლები დრო უნდა.

გიგო. ნაკლები უნდა, მარა თავში რომ არა-ფერი აჩება?! ამოდენი ხანი აქა ვარ და ჯერ არც გრთი საგანი დაწვრილებით არ შემისწავლია. მატ-რიკული რომ ხახო, იტყვი პირველია.

გრიშა. ნუ ფილოსოფოსობ თუ ღმერთი გწამს, მარტო ჩვენ ხომ არა ვართ ეგრე. სულ-ყველა ეგრეა.

გალენტო. კაცი ლექციებზე მაინც უნდა და-ვიარებოდეთ. ჩვენ მოსაქლავები ვართ ღმერთმანი

გეფიცები ჯერ პროფესორი ლექციაზე არ მინა-  
ხავს. (იცინიან)

გრიშა და გიგო ჩვენც... ჩვენც. (იცინიან)

გრიშა. რა გაცინოთ, იცით: ერთხელ ს—სო  
უფლებას ვაძარებდი, პროფესორი თვალით არ შე-  
ნახა. შეველ აუდიტორიაში. სტუდენტები ირეოდ-  
ნენ. ერთ ჯგუფში ამოვყავი თავი და ვეკიობები:  
ესა და ეს პროფესორი აქ ხომ არ შემოსულა მეთ-  
ქი. თურქე ნუ იტყვი სახე-ძალი, იქ ყოფილა.—  
სსსუ... აგრე არის, ვერ ცნობო. შემრტვა. იმ  
მუდრეებმა ერთი დაცინვით გადმომხედა... გაიღიმა,  
მაგრამ... ეგზამენი მაინც კარგად ჩავაბარე.

ვალენტო მე თვითო პროფესორს შევეკითხე.  
სტუდენტი მეგონა!..

გიგო. მეც, კაცო მეც! მავი კი არა ორი პრო-  
ფესორი ისე მოგვიყვდ, ვერც ცოცხალი, ვერც  
მკვდარი ვერ ვნახე (იცინიან. პაუზა. გრიშა საათს  
დახედავს. ბინდდება).

გრიშა. ბიჭო, დალამდა. გადავათვალიეროთ  
მაინც, თორებმ შევრტვებით.

გიგო. ნეტავი შენ ეგ „რაკურატნი“ არ იყო!

ვალენტო. არა, გიგოჯან, სჯობია... სჯობია.  
ამბობენ სასტიკი პროფესორიათ. (მოემზადებიან  
სამეცნიეროთ. გრიშა იწყებს. ისმის კაუნი).  
გრიშა. მობრძანდით. (შემოლის გორკა).

### გამოსვლა მეორე.

ჟველანი ერთად გორკას გაუმარჯოს... გორკას  
სიცოცხლე. დაჯექი, დაჯექი. (სკამს მიუღიამენ).

გრიშა. ბაღიდან მოღიხარ უეჭველად.

გორკა. ეგზამენზე ვიყავი.

ჟველანი ერთად. რომელი?... —ეს ჩააბარე?

გორკა. ჩავაბარე, მაგრამ თქვენსავით არ მიმ-  
ტვრევია თავი.

გიგო. მეხი კი ჩაგაყარე მაგ თავში. (იცინიან).

გრიშა. რთვორ კითხულობს, სასტიკია?

გორკა. რა ვიცი ჯერ არივინ გამოუგდია.

სხვები. პაიდა,—ვაუ-კაცი ყოფილა, ვაუ-კაცი!

გიგო. ჩემმა მზემ.

გრიშა. ბევრს კითხულობს?

გორკა. არ ვიცი.

გრიშა. მა რა იცი, შე ოხერო, ეგზამენიდან  
მოდიხარ!

გიგო. სთქვი რაღა რა გქითხა?

გორკა. მეთოთხმეტე თავი.

ერთად. ვა!..

გრიშა. მნელი ბილეთი შეხვედრია.

ვალენტო. ძალიან ძნელი.

გიგო. „კონსპექტში“ სულ არ არის.

გორკა. მათქვევინეთ რაღა თქვე გიუებო. გა-

ველ, დავჯექი და ვეიქრობ, თუ რა უუბასუბო. ეგ  
სახე ძალი წაკითხული მაინც მქონოდეს. დაუგდე  
ყური წინ მოპასუხე სტუდენტებს: ბიჭოს,—ერთი  
ალთას, მეორე ბალთას! ერთი პარქში ირშიყობის  
პოეზიაზე ოცნებობს, მეორე ნავით სრიალობაზე  
ფიქრობს და ისე აშკარათ, რომ სიცილის მცვრიდენ.  
პროფესორს თავი ჩაეღუნა და ღრმა ფიქრებს მის-  
ცემოდა. ბოლოს ნიშანი დაუსვა და გამოუშვა.  
ამის დამნახაეს იმდენ მომეცა. ვიფიქრე სიჩუმე ყვა-  
რებიათქმა და დავიწყე ღცნება წუხანდელ სიზმარ-  
ზედ. მართლა რა საუცხოვო ჩიზმარი ვნახე! (იმო-  
იოხების). ვითომ მე და გრიშამ ერთი „ცხოვრების  
მწვადი“ გავიცანით გუშინ. ავითვალთვალეთ, აქედან  
მოუარეთ, იქიდან, ხან დავეჯლანეთ, ხან გაუცინეთ,  
შევაქთ, შევაქთ და გავინეთ; გავიცინეთ და  
გავიცანით. გავიცანით მარა რაღას ნახავ უკეთესს.  
(ხელებს შლის) ამ სისქეა ჰა. ჯერ ეგრე ქალი არ  
მომწონებია.

გიგო. ჰო ვიცით, ვიცით სხვა არ მოგწო-  
ნებოდა!

გორკა. სიყვარულის კამბეჩია ღმერთმანი! სიტ-  
კბოების ზაქი. და ვნახოთ წუხელ სიზარში სასეირ-  
ნოთ გაველ. ვნახოთ წერილი მომახეჩეს. გავხსენი  
და, ღმერთო ჩემო, მისი იყო, ვისი სიმსუქნის სიმ-  
ხურვალე მწვავდა. დღეს დილით დავწერე კიდეც  
და ის: (კითხულობს). „თქვენ გორკა გრქევიათ,  
ასე გავიგე. რა საუცხოვო სახელია! ჩემს დღეში  
ასეთი საოცნებო სახელი არ მსმენია. როგორ მსურ-  
და ასეთ სტუდენტთან გასრიალება, გრიშაც ხო  
კარგია, ეს უკეთესია, ეს სულ სხვაა, იქნებ მისთვის,  
რომ ეს თქვენა ხართ. თქვენი შავი თვალები!.. მათ-  
გან გამოსრიალი ისარი დღესაც გულა მშე-  
ლეტს... ტუჩები, თითქოს აღმოსავლეთის მომსკდარი  
ბრიწელია!.. შავი დაგრუზული თმა... ნეტა ის  
ქალს ვინაც მას ხელს გაუსვამს!.. თქვენ ქართველი  
ყოფილხართ, მიტომაც ასე მომზიბლავი, ლამაზი,  
თქვენი მიხერა-მოხერა, ეს ხომ არყის ხის სიოზე  
ქანაობა იყო! ცოტა მრისხანე იყავით გუშინ, ვე-  
ლურად იხედებოდით და მით უფრო მაჯადოებდით.  
ოჳ, როგორ მსურს თქვენი კოცა. თქვენ გეტყო-

ბათ კეთილი ხართ და იმდი მაქვს ხვალ ჩემთან  
შემოიყლით, ასე საღამოს 9 საათზე. ჩემი ქმარი  
სწორეთ ხუთშეტი წუთის წინ გავა ს—დან სამსა-  
ხურში. ამ წერილს ჩემი ვაჟი (გემაზიერი) მოგი  
ტანთ და თუ ხათრი გაქვთ ნურაფერს ერყვით.  
შევიდობით ღვთაებრივთ ქართველო. გმაბეძნიე-  
რეთ და დამატებეთ ოქვენი მზერით. გელით. №...  
ქუჩა... ვ ბინა. დუსია.“ ამაზე ვოცნებობდი და  
ეს ქაღალდიც ხელში მექირა. ბოლო სიტყვებმა  
ამაღლვა, წარმომიდგა სიზმრის წუთები, ვეღარ  
მოვითმინე და... ხმა-მაღლა დავათავე წერილი.  
პროფესორმა თავი მაღლა აიღო,—უკაცრავად,  
თქვენი უკანასკნელი სიტყვები ვერ გავიგონეთ. შევ-  
კრთი, დავიძენი, რა მეთქვა აღარ ვიცოდი. უცებ  
გონს მოვედი, ქილალდი ჯიბეში ჩავიდე. პრაგრამის  
უკანასკნელი კითხვა წავიკითხე მეთქი.—ძალიან, ძა-  
ლიან კარგიო. და...

გრიშა. მეტი არაფერი?

გიგო. მაშ მაგით გახველი?

გორქა. აპა!

ვალენტო. ბრავო, მაღლოდეზ\*) ვაჟკაცი ხარ ვაჟ  
კაცი!

გრიშა. პროფესორებიც რომ ჩვენი ყაიდის  
არიან!..

გიგო. (იღებს წიგნს და ისვრას).—წალი შენი  
დამწერიული!..

გრიშა. შორს, შორს, მაგის წამკითხველიც  
შევარცხინე

### გამოსვლა შესამზ.

(შემოდის საშა).

ვალენტო. (საშას)—კაცო ეგ თვალები დასიე-  
ბული რათა გაქვს? ხომ არა გცემეს?

საშა. მცემეს კი არა! ორი დღეა არ მიძინია.  
ზედი-ზედ კარტს ვთამაშობდით.

გიგო. სად, სად? ვაი დედასა, სად ვიყავი!

გორქა. „კრუპნი“ თამაში მაინც იყო?

საშა. გვარიანი. „ობჩევიტიეში“ ყოველთვის  
„კრუპნი“ თამაშია, მით უფრო ახლა სწავლისა და  
ხარჯის ფული ჩამოსული აქვთ. მე ვერაფერი ვიხე-  
ირე. ხუთი თუმანი სწავლის ფული დავდე და წა-  
მოვედი.

\*) Молодецъ—ის მაგიტ სტუდენტობაში შემოიღეს,—  
მოლოდეზ ან მაღლოდეზ.

გრიშა. ქართველი იყო ვინმე?  
საშა. ნახევარი ქართველები ვიყავით.  
გორქა. ჰაიდა!

ვალენტო. მოიგო ვინმემ ჩვენებში?

საშა. როგორ არა. ჭიკილამ 8 თუმანი, ლა-  
ლომაც 30 მანათი და ზოგმა თითო-ოროლა მანერი.

ვალენტო. ვაჟ-კაცები არიან, ვაჟ-კაცები. დაჯე-  
ქი აბა და ისტორია ზუთე.

გრიშა. ოს რა გემოზე იქეიფებდენ?

გიგო. იქ ხომ არ წასულან.. ცნობილ ქუ-  
ჩაზე?

საშა. გათავებისთანავე: „ბეზ პერესიადკი.“

გორქა. (მოაგონდება) წავიდე, წავიდე იქნებ  
სიზმარი ცხადათ მექცეს, თორემ თქვენთან ხეირს  
ვერ ვნახავ. (მიდის).

გრიშა. არ დასტეო ვისმე?

საშა. ისე დავბეგვეთ საწყალი რუსები, თავი-  
სიანებს ვეღარ ცნობდენ.

ვალენტო. რაზე იჩხუბეთ?

საშა. არ იცი კაცი მიღი რა შარიანია? იცი  
მანათი წააგო და ოცს დაამტვრი თავპირი. (იცი-  
ნიან. ჩამოვარდება ჩსუბზე ბასი, ცველა თავს  
იქებს. შემოღის კაკა და ვალიკა).

### გამოსვლა შეოთხე.

ვალენტო. რამ დაგაწითლათ ქარხლებისავით?  
კაკო. ვიჩხუბეთ. ვიღაცებსა ვცემეთ, მაგრამ  
ისე კი რომ... წელს ვეღა წაიღებენ.

გალიკო. ქუჩაში ქაღებს „სალნი“ სიტყვა გა-  
დავკარით. აქაო და გამოხტა ვიღაცა „ჩინონიკი“,  
დაიწყო ჩიფჩიფი. ეგ აგრე არ უნდა მეთქი და ჩა-  
სცე კისერში. მას ვიღაც მოეხმარა და აქ კაკო  
დატრიალდა.

საშა. ხომ არ გამოქცეულხართ?

კაკო. ჩვენ კი არა და ისინი ვინ იცის ეხლაც  
მირბიან.

გიგო. ბევრი იყვნენ?

კაკო. ხუთნი.

უცელანი. ბრავო, მოლოდეზ!

გიგო. ნეტა ერთი კოლაც მოვიდეს მრავალ-  
უამიერს დავაყოლებდით.

გრიშა. არა ძმაო, კოლას ჩვენთვის არა საკა-  
ლია.

კაკო. ნეტა რას აკლავს ეს საწყალი თავს!?

უნდა შევისწავლოთ რამე, თორემ ფუქსავატობა არ გვარგია, მეუბნება გუშინ.

გალაენტო. ლოქია, ლოქია ბავშვი! ის კი არ იცის, რომ „იტოგი“ ერთა გვაჭ.

გიგ. და ვალენტო მართალია. „იტოგი“ „იტოგი“, „იტოგში“, ჩაუხდეთ.

კაკო. რაც უნდა ბევრი იმეტადინოს ჩვენისთანა დიპლომს აიღებს. ჩვენ ეს მხიარულება მაინც შევგრჩება. (შემოღიან ვანო, შემდეგ ლადო).

### გამოსხლა გეგული.

ვანო. კაცო რა ოხრათ თამაშობს ეს სახედალი კიკილა ბილიარდს! გაკვირვებასა ვარ, ღმერთმანი ვიღაც ფულიანი ჩაუგდია. ჯერ განგებ 10 თუმანი მოაგებია და ახლა 20 დაადვა. დასწყევ-ლა ღმერთმა!

გალიკო. არის ვინაუ იქ?

ვანო. ჩვენი ბიქები ყველანი იქ არიან. უყურებენ (შემოდის ლადო ყურს მოკრავს უკანასკნელ სიტყვებს).

ლადო. უყურე, ჩემო ძმაო, მეც და თვალები დახჩა. კაპიკი არა მაქვს თორემ მეც ვინწეს ავა-გორებდი.

კაკო. რა კარგი, კამიანია! ახლა არაყი, ჩა-დებული კიტრი, მწვანილი ოხ შენი ღმერთის ჭი-რიმე! რას ვიქეიფებდით შენი ღმერთისა! ბიქო მართლა არაყს გოშოვით ვის გინდათ?

ყველანი ერთად. მე.. მე.. (გადაწყვეტენ მეო-რე დღეს ქეიფობას. გამხიარულდებიან)

გრიშა. მაშ ეხლა ლეკური!

ვანო. (ჭამოხტება) — დაუკა.. დაუკა შენი ჭი-რიმე. (ცეკვას, შემდეგ გიგო ლადოს გაიწვევს.)

ლადო. (ჩამოუვლის) — გაუსვი... ტაში... ტაში! (სათითოოდ ყველა ჩამოუვლის და ტაშს რიგ-რიგ გობით უკრავენ. არის ერთი ძინგინი, ბრახუნი. შემოდის დიასახლისი).

### გამოსხლა გეგული.

დიასახლისი, გთხოვთ ცოტა ჩუმათ. ქვეშ მცხოვრებთ სძინავთ.

გრიშა. ჩვენ კი გთხოვთ მხიარულებას ნუ გვიშლით.

დიასახლისი. ქუჩაში ჰერნიათ თითქოს აქ ქორ-წილი იყოს. რა იქნება, რომ ცოტა წყნარიათ იყ-ვეთ.

გრიშა. გთხოვთ მიბრძანდეთ, თორემ უკაუყ-ფილებას გამოიწვევთ და ხვალე დაესცლით ოთახს. (ოთახის ჭირა არა აქვთ მიცემული და დიასახლი-სიც მტკუანივით გადის. მილი შემოდის)

გიგ. (მის დანახვაზე) — აბა „ბისტრი რა ვისტრისა!“

მილი არ შემიძლია!

გიგ. ნეტა რა ჩაუყლაპავს?

გალიკო. პილპილი.. პილპილი.

მილი. წუხელ ნაშუალამეეს 4 სათხე ბაღში ვიჯექ ერთ ლამაზ „კურსისტესთან“... მოქანცული ვარ. ოხ რა მმენიერია ჩემი სიყვარულის კამ-ბეჩი. ვენერა—ვენერა! ახლა გამოვილვიდე და ცო-ტა არ იყოს ცუდ გუნდებაზედ ვარ.

გალენტო. შე მუდრებო ვენერები ჩვენცა გვყავს, მაგრამ ცუდ გუნდებაზე კი არ გვაყენებენ. (იმღერიან და მთლად აყრუებენ ჩქაურაბას).

საშა მართლა, გაიგეთ? სტუდენტის გაწვევა გამოცალდა.

გრიშა. ღმერთმა უშველოთ!

კაკო. მეც ეგ მინდოლა!

გალიკო. ორი კურსი მიჰყავთ, მაშასადამე ვჩერც წავალო, რადგან ფაქტიურათ მეორე კურს-სზე ვითელებით.

გიგო. ჰაიდა! ზოგი ჭირი მარგებელიაო!

ვანო. მრტვენოდა ჩემით წასვლა. ახლა ძალას ვემორჩილებით!

მილი. მეც... მეც!

გრიშა. მაშ ჩვენ ყველანი მივდივართ.

მილი. ოხრათ!

კაკო. ხმალი, ხანჯალი, პავონები, ფული, სუ-ლი და გული. სქემე თუ შეგიძლია!

გიგ. ხვალაც ვქეიოფებ!

გალიკო. მაშ გაუმარჯოს ქეიფს და პრაპორ ჩიკობას!

ყველანი. გაუმარჯოს... გაუმარჯოს!


(ფარდა ეშვება)

გოხუსნული.



# რამოდენიმე ქასტი უკნ-უმრესის

(ფრანგული უურნალიდან)




— ჩვენ უნდა დავისურათ!



— ჩვენ მიზნისკენ!



— მოწინააღმდეგე უნდა განადგურდეს!



— იქნიძე!



— ჩემ ბერებენ!



— სოფიალური თანასწორობა!

## დროთა გრუნვაში

გამოვეთხოვე ტურფა გაზაფხულს,  
დროთა მშვენების კექლუც ქალწულსა,  
მიჯნური გული მისი სიშორით  
დაღონებული უპყრია წყლულსა.  
ვყვე დროთა ბრუნვას, შეველ ზაფხულში,  
რომლის თანკარა, აღმური მწველი  
სწვავს ვარდს და ის არშიყობითა,  
ბოდვას განიცდის ბალი და ველი,  
მნათობი ტახტზე ცის კენწეროში  
დასჯდა, რომ „კურში ჩახედოს სწორათ“\*)  
და სიმრგველე ცისა,  
მორჩილებს ვისა,  
მან შვაზე დღომით გადაჰკო ორათ;  
გამეფდა იგვლივ პაპანაქება,  
შრომის სამეფოს სდის ოფლის ღვარი,  
განცხრომის შეილთა,  
ჭამა — სმა — ძილთა  
საშვალება აქვთ რა მრავალ გვარი,  
არ აცდის ბარათ, — სააგარაკოთ  
გამოუნახას მაღლობზე ბინა,  
თუმც მათთვის მშრომელს,  
ოფლი სდის რომელს,  
სიშილ წყურვილი, რომ მოეთმინა  
საკუთარ მარჯვენს ატანდა ძალას  
და ძლიერ იხდიდა საყანულ ღალას\*\*) )

ერთი მხრით ბნელში შრომა მუდმივი,  
მოვალეობა და სიღარიბე;  
მეორე მხარეს ძალა — უფლებით  
ცაზე მიუდგამს ცხოვრების კიბე...

რომელ მათგანში ვარჩიო ყოფნა?  
„ჰა არჩევანიც მაღდია კარზე“  
მარა მე ვიცნობ მარტოკა პირველს  
უკანასკნელი ჩემს დასახარზე  
ჯერ არ ყოფილა, უცხოა ჩემთვის  
და რომ გავიცნა მე ისიც დროზე,

\*) გურულ ასტრონომია გვასწავლის, რომ შეა ზაფხულის შვალდებზე მხე შვაგულ ცაში მოექცევა ისე, რომ ჭურში (ჭვევრი) პირდაპირ ბსკერში ჩანათებს, რის შემდეგ დღე კლებულობს თურმე.

\*\*) ღალა — საყანე მიწის ბაჟი.

მხოლოდ ამისთვის მივდივარ ეხლა  
სააგარაკო მთა — ბახმაროზე.

მივდივარ, მარა თანაც მიმყობა  
ჩემი ამაღი და ჩემი „სვიტა,,  
თავისთვის „ვერხომ“ და ჩემთვის „კუჩხით“  
მთელი გზის გავლა ვინც გადასწყვიტა.  
ბუტუნა.

\* \*

ჭირში მტერო, ლხინში მეგობარო,  
მო, გეთაყვა, ერთი გაგახარო!

გახსოვს მე რო წავბორძიკდი, წავიქეცი,  
შენ რო თვალი მომკარ და მყის გაიქეცი  
ხელი ხო არ მომეც დასახმარებელი  
სიტყვაც რო არ მითხარ გასახარებელი,  
არც კი მომხედე წელანდელ მეგობარს,  
გისაც მეძახდი საკუთარ სულზე მტებარს!..

ჭირში მტერო, მოდი რა გახარო,  
ლხინში მეგობარო, მოდი გაგახარო!

მე უშენოთ ავდექი, ფეხზე ვარ ახლა,  
ძველი მეგობრობა ვინ არ განაახლა!?

მოიტა კვლავ ხელი, სიტყვას გკადრებ ალალი!  
კვლავ მოგებას გაჩვენებ და არა ზარალს.

ჭირში მტერო, ლხინში მეგობარო,  
მომისმინე, იქნებ გაგახარო!

მე რომ იქ მმარხავდენ და შენც იქ იყავი,  
თავს რო დაზხაოდა შავი ყორან-ყვავი;  
საფლავში რო ჩამდეს სიცილით, ხარხარით,  
ლოდებს რო მაყრიდენ ნიჩებით და ბარით;  
უჯვროთ რო დააგდეს მათ ჩემი საფლავი,  
შენც ხო იქ იყავი, გახსოვს, ხომ იყავი!  
ცრემლი რო არ მოგწყდა თუნდაც ერთი ცვარი  
და თბილი სიტყვა გულშიც არ მითხარი;  
მგონი ერთი ლოდი შენც კი მომიძლვენი,  
ისე... ფეხწამოკრით, შეუმჩნევლათ ქენი...

ლხინში მეგობარო, ჭირში მტერო,  
მოდი სასწაულით გაგაშტერო!

მე უშენოთ ავდექი, ფეხზე ვდგევარ ახლა  
ძველი მეგობრობა ვინ არ განაახლა?!

მოიტა კვლავ ხელი, სიტყვას გკადრებ ალალს  
მოგებას გაჩვენებ და არა ზარალს!


ისევ ძველებურათ შევფიცოთ ერთმანეთს,  
ნუ დავიტოვებთ უხსნებლათ ხატსა და ღმერთს;  
ღვინისთან კახურთან (ზე რო ფულს ვიხდიდი)  
და შენ კი ზეფრენით ქუდს რო მოიხდიდი,  
მოვიგონოთ ის დრო... შენ რა გენალვლება,  
წარსული კი ხომ იყი გაივლის, გაქრება!  
მოიტა კვლავ ხელი, სიტყვას გკადრებ ალალს,  
მოვებას გაჩვენებ და არა ზარალს!..

ჭირში მტერო, ლხინში შეგობარო,  
ვფიქრობ ამ ნამბით მაინც გაგახარო...

ეშმაკუნა.

მაშინ... ხომ შენც მოგეზღება  
ის სასჯელი უსაზომო...

ალბურიონი.



## გამოცხანა

სიტყვებით ბევრს აბრახუნებს,  
ქვეწის მხსნელით მოაქვს თავი.  
დაფხაურობს, ფართი-ფურთობს  
თეთრ კბილს აჩნის—გულით შავი!  
ენას ისე არ მოიქნევს  
არ შეასვას ვისმე შხამი,  
სხვებს ატყუებს, ყვლეფავს, სჩაგრავს  
ბევრჯერ „აუწავნავს“ ქრთამი!..  
მახსე აგებს, ბადეს ქსელავს,  
არ ისვენებს ერთი წამი,  
მსხვერპლის ტანჯვა წამებაში,  
ნაჩვევია, არ თუ ხამი.  
სინათლეს მტრობს, ბნელეთს ეტრფის  
ჯოჯოსეთი უჯობს ედებს,  
სასიკვდილო ისარს ესვრის  
ვინც მისთვის ოფლს არ იმეტებს.

დასანსალობს, როგორც მელა  
ყველგან ძერება, ბევრსა ჩმახას  
სურს მოატყუილოს ყველა,  
ვისაც „საწველ ფურად“ ნახავს!  
მაგრამ, ნუთუ ფიქრობ ბრიყვო,  
ეს სიმურტლე—სისხლის ხანა,  
ეს კუპრი და უკუნეთი  
ღიღხანს გაგიგძელდეს განა?!

ერთ ღლეს კოკა ხომ გატყდება,  
ყველა ამის დაპრავს ბოლო?

## ლეინის შუადღე

(ნიმუში თანამედროვე პოეზიისა).

შე აცეკვდა...  
ღვინით ყელი ჩისოლა,  
ჩამოიხსნა მანდილი და...  
გაისროლა;  
ფეხს ჭაიძრო ოქროს ფერი  
ოჩოვება  
და მკერდლა-გულ გასნილი  
დაცალფება,  
ისე ვნებით შეთამაშთა,  
დაუარა,  
რომ ვარსკლავებს ტანში ურეოლამ  
დაუარა.  
ზეცის გუმბათს მოწყდა მთვარე  
აყლაყუდა,  
წაბუქნა და კაკალ მზის წინ  
დაეყუდა...  
და წრის ირგვლივ გასრიალდა  
ისე ნაზათ,  
რომ ზეფირი გაეშალა  
ფიანდაზათ.  
ღრუბლის ჯირკვე შჯდარი სიო  
ლაზლანდარა,  
დაუდგრომელ-ცუგრუმელა  
და ან მასხარა,

მსწრაფლ წამოხტა, მთვარეს კუდზე  
წაყვიდა,  
ზედ შეახტა და მზეს ყელზე  
დაეკიდა...  
ვარსკლავთ ტაშმა შეარყია  
მთლათ სამყარო,  
და გაისმა, შორს, სიცილი  
სანეტარო...  
და კასკისებს ვარსკლავთ კრება  
და შუქურა,  
ვით წითელი, გაიძვერა  
ნაგრის ტურა...  
სიცილისგან მეც დავადე  
ვრცელი ხახა  
დავიცინია: ხახა, ხახა  
ხახა, ხახა!  
ლ. პოდბიპენტა.

## „კველმოჟავედნი“

(ყურმოკრული საუბარი)

სერგო (ბაზაზია) სტეფანე! რაო კაცო, შენც გა-  
მოგართვეს ის რაღაც „კრასნიკრესტიან“ იმისთვის  
ფულებზი?..

სტეფანე (დვინის ვაჭარია) მაშ არა და შამარ-  
ჩენდნენ! წითელი თუმნიანი წაიღეს. ბევრი ვეჩინ-  
ჩე, მაგრამ არა გამოვიდა რა, ხომ იცი ისეთი კა-  
ცი აგრძელებდა, რომ იმის წყვინება არ შეიძლებო-  
და, ხომ იცი ჩენთვისაც გამოსადეგი ვინმეა ჰაა!  
შენა?

სერგო მე რაღა წითელი კოჭი ვარ, ჩემგანაც  
წაიღეს.

სტეფანე (ეშმაკურის ღიმილით) შენც რა შვი-  
ლი ხარ ბრალი შენი მუშტრებისა. ვინ იცის, ვისი  
კისრიდან უნდა ამოვიდე (ლრეპით) რაწამს ფული  
წაიღეს, მე მაშინვე ღვინოს ორი ვედრა წყალი  
დავუმზტებრალი იმისი ვინც დალექს... (იღმიება)  
შენცა-ზოგს ჩითს წაუმატებ, ზოგსაც მიტკალს და  
შუშტრებიდან აინაზღაურებ რაღა!

სერგო (ბრძნულად) მაშ არა და მამა უ-  
ხონდებათ იმათი გულისითვის ჩემს სახლებს დავა-  
გირევებ.

ჩრჩილი.

## საქუას ხილათი

(სცენა)

ახლა გაიგეთ, რა სლუჩია დამემართა? კაცო, თქვენ  
ყველამ კარგად იცით, რაღა, მე რომ თიატრში სი-  
არული მიყვარს. იცით რათ მიყვარს? ხანდახან ჩვენ  
ყარაბილულ-კინტუა-ლოთი-ფოთი ბიჭებს წარმო-  
ადგენენ ხოლმე. ჰო და იმ დღეს წაველ უნაროდნი  
დომ“ში. ბილეთი ავიღე, პაგრამაც ვიყიდე, ბუფე-  
ტშიც ხეირი მივეც, ასე რომ მეც კაი გუნებაზე დავ-  
დექ და სხვებიც კაი გუნებაზე დავაყენე... ხალხი  
ბუზიით ტრიალებს, რაღა. ზვანოკიც დაჰკრეს და  
შაველით. მე ჩემი ბილეთი ხელში მიქირამს და ვე-  
ძებ, რაღა, აღილს, დვაცათ პერვი ნუმერ ვტარიო  
რიად, პრავა.

ვეძებ, ვეძებ, ვიპოვე კიდეც. ვეძედამ, ერთი ვი-  
ლაც ყმაწვილი კაცი, ესვევ მოსართავით რაღა,—  
კრახმალ გალუსტიე, ვარატნიკით, ჩემს ადგილზე  
დამჯდარა და ზის. მეც მიველ ვეძები:

— ყმაწვილო, მინავატ, ეს მგონი ჩვენი ადგი-  
ლია! ის ყურს არ მათხოვებს.

— ძმაო-ჯან, ბილეთში ფული მიმიცია—ადგი-  
ლი მიყიდნია, შენ კი ჩემი ადგილი ზანიატი გი-  
ქნია? ადე ძმაო. ვა! ხმას არ იღებს! ერთი გავბრა-  
ზდი, ერთი გავბრაზდი, რომ ჰა!

— კაცო, ადექ რაღა, დაღაბული კაცი ვარ—  
ტრამგაიში აღვილი ვერ მიშოვნია. საქმე არა ვაჭ-  
არც კი იხედება ჩემსაცნე! მეც კიდევ ვებნები  
— ადექ, ძმაო!

ისიც მეჯნება — შტო ხოჩიშ!

ჸა, რუსი ყოფილი! ვაჭ! ვფიქრობ. მამა ჩემო,  
რატომ საფლავში არ გადაბრუნდები, რომ ღემნაზი-  
აში არ გამომზარდე და რუსული არ მასწავლე.

ის კიდე მებნევა — შტო ხოჩიშ — და იცინის,  
გაიგეთ! ერთი მაჯლაჯუნასავით იღრიჭება. ვა! გუ-  
ლი მოგდის, გული მომდის, რომ ლამის გადავირიო  
კაცი, რაღა. ის კიდევ მომადგა და ერთი რუსული  
დამიწყო, რომ ზაღა წაიღო. მეც ავდექ და ისეთი  
ვაჭამე ჩემი ცხვრის თავი, რომ თვალებში ღერმა-  
ნია დავანახვე. ერთი რომ არ გავარტყო, ისეთი  
ლაზათიანად დაიყვირა — ვაი დედაო — რომ შენი მო-  
წონებული. ჸა, ვიფიქრე, ჩვენი კაცი ყოფილხარ, და-  
ბრიყვებაც გინდოდა? მაშ, ეგრე. დავდექი და ეს  
მოღენა ხალხში ისე დაულეშე ცხვირ-პირი, რომ  
ველარ აცნობდით, ია! ატყდა ერთი დავი-დარაბა!

ეს პოლოკოლიო, ეს შტრაფიო, ეს „ტურმაო“ და სხვა რამეები.

გა აქეთ პოლიციას თეატრის კარებში სპეციალნად ჩემოვის გარადო უყვნია. რომ არ დამინახავს, თუ თეატრში შესვლა მანდა, ერთი ისეთს დაუშრევენს, რომ მთელი პოლიციის სასტაცი სულ იქ მოიყრის თავსა, არ მიშვებენ, რაღა, თეატრში მერე ვან მიყო ეს საქმე? ოჯ, გალუსტიკიანო, ერთი შენი თავი მაჩვენა კიდენ.

გუგული.



## „სასახეანაგო“ განკი

(წერილი გელისცინიდან).

ნამდებლი სახელ- წოდება გამგეთა:	ვინ რა თანამდებო- ბას ასრულებს:	თვითური ჯა- მისამართი:
ღარ-ვა შაკა (უპორტულელი მდივანი)	ვინ რა თანამდებო- ბას ასრულებს:	თვითური ჯა- მისამართი:
ტერ-ბაგრატი (თავშეაღმარე)	... . . . .	100 "
მორდეხადა (ხაზინადრი)	... . . . .	60 "
ზედ-არშაკა (გაუგებრობის გამგე)	... . . . .	60 "
ფაშა-შუშა (საქმის უფროსი მწარმოებელი)	80	"
დიდი-პარკინო (ამის თანაშემწევ)	... . . . .	45 "
პაპიროსა (არაფრის მკეთებელი)	... . . . .	40 "
ღონ-ალებინო (უმთავრესი ტეხნიკი)	... . . . .	50 "
აქ-ლაზრინო (უმთავრესი გრამატიკისტი)	25	"
ბებრის ბუდე (პირველი მოსამსახურე)	... . . . .	35 "
და ტიკი-პირო*) (ამის თანაშემწევ)	... . . . .	30 "

აი, ბატონონ ეშმაკო, თითონ ველისცინის და მასთან შეერთებულ სამი სოფლის დიდებულ ბანქს განაგენ ზემორე ჩამოთვლილი თერთმეტი უფროსი გამგე, მაგრამ მათდა შესაბრალებლიდ ბანკი აჯილდებს მათვე სრულიად უმცირესის სასყიდე-

\*) ამ გამგე პირთა სახელშოდება ჩვეულებრივად ზედმეტი განაკვეთ, მხოლოდ ამში დამნშევნი არინ სულის მამები, რადგან ვიდრე ბავშვს მოსანათლად უძაშადებენ, თვითონ უპირველესად გადაყლურწევით აღრევე ემზადებიან და ამისათვის ნამდვილი ნათლობის სახელები აურევათ ხოლმე და სულ თავისებურად უშერენ ასეთ სახელწიფებას მეტრიკაში.

ლით, ე. ი. სულ თვეში მშრომელთ ეძლევათ 555 მანეთი. ამას უნდა მიუმატოთ ზედამხედველ კომიტეტის ჯამაგირი, თვეში ათი თუმანი, სახლის ქირა თვიურად — 66 მან. (კაპეიქებს ანგარიშში არ ვიღებთ), აქეთ-იქით, გამგეობის თუ სხვა მოსამსახურე პირთა საქმის გამოისობით გასეირ-გამოსეირნება და სხვა და სხვა მოულოდნენი ხარჯები თვეში აუცილებლად შეადგენს 170—180 მან. მაშინ ბანკი ჭხარჯას ოვეში შეუათანად 891 მან., ანუ წლიურად 10,691 მან.

ამის შემდეგ ბანკის დამფუძნებელი წევრები არა ჰმალავენ და სახალხოთ აცხადებენ, რომ ჩენი ბანკი „მდიდარია“, წარსულ წელს ნაღდი მოგება ჰქონდა 4691 მან. და ჩენ კი ასეთ საბრალო თავ-განწირულ მოსამსახურებს სიმშილით სულს ვართ-მეოთო!

ცორე მოგახსენოთ, მეც სულითა და გულით ვეთანხმები მათს ასეთს გულ-შემატკიცრობას.

ნელი.

## დ ე პ ე შ ე კ ი

(გამნ. ლაზ.)

ნამთლული. გამნაწილებელ პუნქტის განყოფილებათა ქვემო სართულებში მოთავსებულ „სათნობის დების“ სამორიგო ოთახებს დიდი და“ თვალ საჩინო ნაკლი“ აქს: სათადარიგო კარებს მოკლებულია, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს სტუმრებსმაც. ერთი მათგანი თავის მორიგეობაზე იძულებული გახდა ფანჯრიდგან გადმოეყენა სამხედრო პირი პირელი დაბმტების აღმოსაჩინად. ნაცვლად მადლობისა, უმაღლურმა ხალხმა—ათასი „ჭორები“ გაურცელა, რის გამო დამ სამსახური დასტოავა.

იძიდანვე. ლაზარეთში დროებით მოიხსნა სამხედრო საალყე წესები, მაგრამ, ამბობენ, მაღე ღიქტატურაც გამოცხადდებათ.

მც. ადგილობრივ რტელიგეციის რაღაც ახალი სენი გაუჩინდა. ნიშნები ასეთია: გონებას ჰყარგავს. ფეხები ერევა. თვალში სახლები მოცეკვავეთ ეჩვენება. უცენზურო სიტყვებს ხმარობს; პირიდან ასაქმებს და ირგვლივ ლეიის სუნს აყენებს. ამბობენ ძლიერ შევლის მათრახის კუდით ზურგის აცრაო.

ცაგერი (ლეჩებმი). ადგილობრივი სამკითხველოს ივანზე ყოველ დღე იმართება საცეკვავო სა-

ლამო, რომელშიაც ენერგიულ მონაწილეობას იღებენ აქაური „ბარიშები“.

**დაილაში.** ადგილობრივ კომპერატივს ვაჭრებში ალყა შემოარტყეს. ხელმძღვანელობს ჯარს გნერალი უტიფარშტერისა სანდრო, აბრამიკო, და წალო.

**შესხელი ჩადასიდან.** ახლად არჩეულმა მარშალმა, ნიშანად მეორედ არჩევისა ბრძანა ერთი გლეხი წამხდარი სისხლისაგან გაეწმინდათ დავალება პირნათლად შეასრულა სტრაჟნიკება.

### შიწა.

**ჩიბათი.** ახალთაობა დიდის ენერგიით შეუდგა კარტ-ნარდის შესწავლის, დარიც ხელს უწყობს.

**დანჩეუთი.** გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ აქაური „პოდრიალჩიკები“ ყოფილან პოდრაჩიკის პომშინის პომოშინის რწმუნებულის ნათესავის ნაცნობის ახლო მეგობარი. ამგვარათ საქონელი (შეშა) პირდაპირ ხელიდან ხელში გადადის.

### პიათურა.

(ქინის სააგენტოდან).

როგორც გალმა უბნიდან იუწყებიან იქ ძალიან მძვინვარებს თურმე ვიღაც ილიტე დი მისი მუქარით შეშინებული მეზობლები გიდროპლანით პირებენ გადაფრენას, რადგანაც გზაზე არავის უშვებს უხიფათოთ, გამოღმელებიც შიშვება ვართ.

### შერე კიდო.

#### იქიდანვე.

პერევისის მამასახლის, მაჟარას კოვზი ჩაუვარდა ნაცარში. მწერალმა უკვე ზომები მიიღო ამოსაღებათ.

#### იქიდანვე.

შიმშილობა გათავდა. სიმინდი თვალით დავინახეთ, თუმცა ხელი არ გვხსლია ჯერ.

#### იქიდანვე.

შე იწვის. ივლიტემ იწინასწარმეტყველა: მოელი სითბო ამზადებულია გამოცივა და მერე გაცივდებათ.

### ქიქინა.

გულუნას სააგენტო.

ჟაჭვეთიდან ბ—ნი „მხიფავი“ იუწყება, რომ მამა კიმოებს კურთხევა (რომელიც ეხლა მოხდა) ფოთში არსებულ სასულიერო გაუგებრობით მოხდარა,

მხიფავი სიხარულის გამოსთქვამს ამის გადა მოითხოვს ცოდვათა ჩამდენი ჩვენს განკალებაში გადმოვიდესო.

ბ—ნი „თვალთმაქცი“ იტყობინება: 19 ვაგონ შაქარი, რომელიც კომპერატივის განკარგულები ში იყო 15 ვაგონი სპარსეთში ყოფილა, 1 ვაგონ ალავერდში, ხოლო 3 ვაგონით დაკმაყოფილებულ კომპერატივის გამგეობა.

ბ—ნი „გულთმასანი“ იტყობინება 1—ი წასწარმეტყველობის ხელშებული შაქარი ისე გამწადება ახლო მომავალში, რომ ზოგ „საპატიო“ პირ შაქარი სამუდამოთ შესძულდებათ.

ქ—ნი „როკაპი“ აპარატ „დიაცით“ იტყობინება, რომ მან დაამთავრა ბ—ნ გერზეცსის „გორნიჩინის“ დაზიანების გამოძიება და მომავალში გამოქვეყნება.

მთავარი სადგური გვატყობინებს: რკინის გზის მუშები სადგურის უფროსისაგან „კეთილი მოპყრობით“ რავლენიმე დღით „დასვენებას“ აპირებნო, რისოვისაც. ბ—ნი უფროსი მუშებს „რასიოტი“ დაჯილდოებას უშადებსო.

ნაბათაში მგზავრათ ჩამოსულ მეურმეს „გულკეთილმა“ მაინძელმა კამეჩები ისეთ ადგილზე გაუდენა „საძოვრათ“, რომ ერთი კვირის განმავლობაში ვეღარ იპოვეს. მაინძელს ეს ბოროტმა ენებმა „სხვაფერ“ ჩამოართვეს, რისთვისაც გააფთრებულმა მაინძელმა მეზობლებს ომი აუტეხა ისეთ „ცილის წმებისეთვის“, კამეჩები ერთი კვირის შემდეგ მაინძლის ახლოს ნახეს შეაღამეზე. მაინძელი ამბობს „წმინდა ილორი“\*) მოიყანდაო.

გაიხსნა სპნკულიატორთა კანტორა სადაც ერთი და იგივე საქონელი ნ-ჯერ გაიყიდება, მუტრელთ შეუძლიან მიმართონ შემდეგი მისამართით: „როპიტ“ მოსამსახურეთა ბიურო — „თანხმობა.“

\*) წმიდა ილორი ცნობილი ხატია სამურჩაყანში, რომელიც ილორიან დღეს ზღვიდ-ნ საწირავ ხარს გამოაცარებს მელი გადმოცემის მიხედვით.

„ეშმაკის მათრასის“ შარშანდელ ნომრებში დაიბეჭდა სცენები

## „სოცლის ფერშალი“.

აყტორი აღნიშნული სცენებისა უმორჩილესად სთხოვს საზოგადოებას:  
მის ნება დაუროველად ნუ იწებებენ აღნიშნული ნაწარმოების სცენაზე დადგმას.

## რაკლებულ ფასებში

### თითოების მუძიაღ!

კ. ს. წ. კლი: კონჩინკას, ბაქარას,  
გერტუშკას, ოთუზბირს,  
დურაჩკას.

უკანასკნელ თამაზს ზედგინონ.

იქნე ვასწავლი რანდოვა-გინებას ეგელა ენებზე

კუნის დამთავრების შემდეგ გამოუყოლით იღებენ  
„ზეინთის“ რეზაქციაში.

მიკითხეთ რეინის გზის მთავარ სახელოსნოში მაღა-  
ლი (ახმახი), თანალექ-ბრიალა და გრძელ-კისერა — პ—ი.

თანამედროვე სიუკარული


(მიბაძგა).

ჩემი ცოლი ლამაზია, —  
როგორც ია გაზაფხულის,  
მისი ხმა და მისი ღიმი  
სიამეა ჩემის გულის.

აკი მიუვარს გაგრებით,  
გულს ვიხუტებ ხოლმე მაგრათ,  
მაგრამ უფრო შევიყვარებ  
რო გადიქცეს ლიდ თავ შაქრათ.

ჩრჩილი

რპინის გზის მთავარ სახალოსნოსთვის



**დედა.** კარგი, გაჩუმდით შვილებო, ნუ გეშინიანთ, მამა-ოქვენია. ან კი საიდან უნდა იცნობდეთ ლილის ხუთ საათზე მიღის სამუშაოთ და ღიმის თორმეტზე ბრუნდება სახელოსნო-დან.